

ენათმეცნიერება Linguistic

ყრუთა თემი და სახელმწიფო ენა¹

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
email:tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.08>

SJIF 2024: 8.268

საქართველოში მცხოვრები ყრუთა თემი დაახლოებით 2500 ადამიანს აერთიანებს. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყრუები წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას. ამ თემის წევრების საკომუნიკაციო ენა არის ქართული ჟესტური ენა, რომელიც არის დამოუკიდებელი ბუნებრივი ენა და არ გახლავთ ქართული სამეტყველო ენის კოპირებადი ვერსია.

სამწუხაროდ, ყრუთა განათლების საკითხები სერიოზულ სამუშაოს საჭიროებს და აქ გვაქვს დიდი ჩავარდნა, რაც პირდაპირ აისახება ამ თემის წევრების (განსაკუთრებით ახალგაზრდების) პირად ცხოვრებაზე, მათ კარიერულ და პროფესიულ პერსპექტივებზე. ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რაც ამ თემის წევრებს ძალიან აწუხებთ, არის ის, რომ ამ საზოგადოების წევრების დიდმა ნაწილმა კარგად არ იცის ან ძალიან ცუდად იცის სახელმწიფო ენა – ქართული სამეტყველო ენა. ქართული ენის სათანადო არცოდნის გამო ყრუები ერიდებიან წერილობით კომუნიკაციებს სოციალურ ქსელებშიც კი და ამჯობინებენ ისევ მხოლოდ ერთმანეთთან იქონიონ ურთიერთობა ქართულ ჟესტურ ენაზე.

წინამდებარე სტატიაში საუბარია ყრუთა თემისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის მეთოდებისა და აგრამატიზმის აღმოფხვრის ამოცანების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ყრუთა თემი, ლინგვისტური უმცირესობა, ჟესტური ენა.

საქართველოში მცხოვრები ყრუთა თემი დაახლოებით 2500 ადამიანს აერთიანებს. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყრუები წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას. ამ

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია]

თემის წევრების საკომუნიკაციო ენა არის ქართული ქვესტური ენა, რომელიც არის დამოუკიდებელი ბუნებრივი ენა და არ გახლავთ ქართული სამეტყველო ენის კოპირებადი ვერსია. ამიტომაც ეს ენა არის საერთაშორისო ინტერესის საგანი. ეს არის ერთიანი ქართული ქვესტური ენა, რომელსაც აქვს ინდივიდუალური, ანუ კერძო გრამატიკული სისტემა.

რაც შეეხება ადგილობრივ ყრუთა თემს, სამწუხაროდ, ყრუთა განათლების საკითხები სერიოზულ სამუშაოს საჭიროებს და აქ გვაქვს სერიოზული ჩავარდნა, რაც პირდაპირ აისახება ამ თემის წევრების (განსაკუთრებით ახალგაზრდების) პირად ცხოვრებაზე, მათ კარიერულ და პროფესიულ პერსპექტივებზე. ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რაც ამ თემის წევრებს ძალიან აწუხებთ, არის ის, რომ ამ საზოგადოების წევრების დიდმა ნაწილმა კარგად არ იცის ან ძალიან ცუდად იცის სახელწიფო ენა – ქართული სამეტყველო ენა. ქართული ენის სათანადო არცოდნის გამო ყრუები ერიდებიან წერილობით კომუნიკაციებს სოციალურ ქსელებშიც კი და ამჯობინებენ ისევ მხოლოდ ერთმანეთთან იქონიონ ურთიერთობა ქართულ ქვესტურ ენაზე.

საშური საქმეა იმ ტიპის პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება ის, რომ საქართველოში მცხოვრებ ყრუთა თემს შეასწავლოს ქართული ენა და მისცეს საშუალება, რომ მოხდეს ამ თემის რეალური ინტეგრირება სამოქალაქო საზოგადოებაში. ამისათვის კი საჭიროა, რომ ქართულ ქვესტურ ენაზე მომზადდეს ქართული ენის ადაპტირებული სასწავლო მასალები. აქ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელი იქნება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის რეკომენდაციები და ქართული ენის განახლებული ნორმები.

ცხადია, პირველ ეტაპზე ვერ შეიქმნება ქართული ენის სასწავლებელი სრულყოფილი და ამომწურავი მასალა, რადგანაც ეს უფრო დიდი სამუშაოა და მეტი დრო და რესურსი სჭირდება ყრუთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოების გაკეთებას, რასაც ჩვენ ვგეგმავთ სამომავლოდ. საჭიროა ადგილობრივ ყრუთა აგრამატიზმთან დაკავშირებული ძირითადი საჭიროებების მოგვარება. კერძოდ, პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს ყრუთა თემში არსებული ქართული ენის წერილობითი კომუნიკაციისთვის დამახასიათებელი შედარებით გავრცელებული პრობლემების გამოვლენა. შემდეგ კი უნდა მოხდეს სწორედ ამ საკითხების დამუშავება და ქართულ ქვესტურ ენაზე ადაპტირებული თარგმანი. წინასწარი მონაცემებით, ცნობილია გარკვეული საკითხები, რაც ქმნის ყრუთა აგრამატიზმის ძირითად პრობლემებს. ეს არის ბრუნვათა სისტემა, ზმნური აქტანტების ფორმები, ზმნის სტურქტურა, ერგატიული კონსტრუქცია და სხვ. უფრო მეტი სიზუსტისთვის, რა თქმა უნდა, საჭიროა აგრამატიზმის დეტალური საკითხების გამოვლენა უშუალოდ ყრუთა თემთან კონკრეტული სამუშაოების საფუძველზე.

ამ ტიპის მასალები განსაკუთრებით ღირებული და მნიშვნელოვანი იქნება ყრუთა სკოლებისათვის. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, დღემდე არ შექმნილა ყრუთათვის ხელმისაწვდომი რაიმენაირი ღირებული სასწავლო რესურსი სახელმწიფო ენის ასათვისებლად. დამუშავებული მასალები ასევე გამოდგება ყრუთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. ამრიგად, ყრუთა აგრამატიზმზე ჩატარებული სამუშაოების

ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი მნიშვნელოვანი რესურსი იქნება ყრუთა განათლების სისტემისათვისაც. ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი და გარკვეული თვალსაზრისით, გზამკვლევის როლს შეასრულებს ყრუთა განათლების სისტემაში, რამდენადაც საქართველოში ყრუთათვის განათლების მიღების ერთადერთი გზა არის ქართული სამეტყველო ენის წერილობითი ფორმატი.

ცხადია, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ ტიპის სამუშაოები სახელმწიფო ენას ხელმისაწვდომს გახდის ყრუთა თემისთვის საქართველოში. ჩვენს ქვეყანაში დღემდე ამ ტიპის პროექტი არ განხორციელებულა და ამიტომაც ადგილობრივი ყრუთა თემისთვის ენობრივი პრობლემა დღემდე სერიოზული ბარიერია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში. რეალურად ხომ საუბარია იმაზე, რომ საქართველოში მცხოვრები გარკვეული უნარშეზღუდული თემი, კერძოდ, ყრუთა თემი ვერ ფლობს სათანადოდ სახელმწიფო ენას, რის გამოც ამ თემის წევრებს მრავალი სახის პირადი თუ საზოგადოებრივი პრობლემები ექმნებათ. ამ საკითხის გადაჭრა და ყრუთა თემში არსებული აგრამატიზმის დაძლევა რეალურად მძაფრი საჭიროებებითაა გამოწვეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის კვლევის მეთოდოლოგია უშუალოდ გამომდინარეობს კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან. წარმოდგენილი კვლევითი პროექტის მეთოდოლოგია არის შემდეგი სტრუქტურის: პირველ ეტაპზე ხდება მონაცემთა შეგროვება – ყრუთა ქართულენოვანი ჩანაწერების შეგროვება, შემდეგი ეტაპია ამ მასალათა გაანალიზება და ამ თემში არსებული აგრამატიზმის ძირითადი საკითხების გამოყოფა. მომდევნო ეტაპი მოიცავს სასწავლო საკითხების ადაპტირებულ დამუშავებას და ბოლო ეტაპი კი გულისხმობს ქართულ ქესტურ ენაზე სასწავლო მასალებისა და სათანადო ლინგვისტური რეკომენდაციების მომზადებას. ასევე საჭირო იქნება სახელმწიფო ენის შესწავლასთან დაკავშირებით შესაბამისი ტრენინგების ჩატარება ყრუთა თემში.

ლიტერატურა:

- მახარობლიძე თ. (2019) ქართული ქესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.
- მახარობლიძე თ. (2015) ქართული ქესტური ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ქესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USAID, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
- Jean Sachar Moog. 2008. CONTEMPORARY ISSUES IN COMMUNICATION SCIENCE AND DISORDERS • Volume 35: 133–142. Teaching Deaf Children to Talk. <https://pubs.asha.org/doi/pdf/10.1044/cicsd.35.F.133>
- Moog, J. S., Stein, K. S., Biedenstein, J. J., & Gustus, C. H. (2003). Teacher Assessment of Spoken Language. St. Louis, MO: Moog Center for Deaf Education.

➤ Nanitashvili, Ekaterine. (2023). "The History of Georgian Sign Language (GESL) Linguistics". *Language and Culture*, no. 29 (May 21, 2023). Accessed March 25, 2024. <https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1740>

Tamar Makharoblidze

Ilia State University

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.08>

SJIF 2024: 8.268

Deaf community and State Language¹

The deaf community living in Georgia unites about 2500 people. Deaf people living on the territory of Georgia are a linguistic minority. The language communication for the members of this community is Georgian Sign Language (GESL), which is an independent natural language and is not a copyable version of the Georgian spoken language.

Unfortunately, the issues of deaf education need serious work, and here we have a big gap, which directly affects the personal life of members of this community (especially young people), their career and professional prospects. One of the big problems that the members of this Deaf community are very worried about is that a large part of the members of this community do not know well or very poorly know the state language – Georgian spoken language. Due to lack of adequate knowledge of the Georgian language, deaf people avoid written communications even in social networks and prefer to communicate only with each other in GESL.

The presented paper talks about the methods of learning the state language for the Deaf community members and the tasks of eliminating agrammatism.

Key words: deaf community, a linguistic minority, sign language.

რეცენზენტი: პროფესორი თამარ ლომთაძე

¹ This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) OFR-22-254. [The Georgian Sign language nominal morphology]